

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

„საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის მოთხოვნების შესრულება;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტი შემუშავებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების მიღებისა და გადასახდელების დაფინანსების უზრუნველყოფისათვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობის განსაზღვრა ცალკეული ორგანიზაციების, აგრეთვე შემოსულობებისა და გადასახდელების განსაზღვრა ცალკეული მუხლების მიხედვით.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები;

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 66 400,0 ათას ლარს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები ცალკეული გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 60 000.0 ათასი ლარით 2009 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 1.7 პროცენტით იზრდება.

2010 წლისთვის რესპუბლიკური ბიუჯეტის **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 400,0 ათასი ლარის ოდენობით:

საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 880,0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან,

– შემოსავლები პროცენტებიდან განისაზღვრა 500,0 ათასი ლარის ოდენობით;

– დივიდენდების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 300,0 ათასი ლარის ოდენობით;

– რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 80.0 ათასი ლარის ოდენობით.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 120,0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან,

– ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 40,0 ათასი ლარის ოდენობით.

– არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 80,0 ათასი ლარის ოდენობით.

ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 400,0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 5 000,0 ათასი ლარით.

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ასიგნებებზე

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 66 400,0 ლარს.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო – 2 698,0 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია – 476,2 ათასი ლარი;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა – 24 929,7 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – 10 453,2 ათასი ლარი;
- განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – 12 180,3 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 4 514,9 ათასი ლარი;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2 793,2 ათასი ლარი;
- სხვა უწყებები – 8 354,5 ათასი ლარი;

– ვალდებულებების შემცირება შეადგენს 5 946,8 ათას ლარს, საიდანაც 4 725,0 ათასი ლარი მიმართული იქნება საგარეო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 1 221,8 ათასი ლარი – საშინაო ვალდებულებების დაფარვაზე.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მათი განსაზღვრის წესს;

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს;

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს;

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ;

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.